№ 140, ივლისის 3, ოთხშაბათი. 1866—1885 ივლისის 3, ოთხშაბათი. № 140.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible] ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზეთი მოესპოთ.

რკინის გზის შტო

ცხინვალის ხეობაზედ

თბილისი, ივლისის 3-ს.

დიდის ქალაქიდამ დიდს ქალაქამდე, ანუ ზღვიდამ ზღვამდე გაყვანილს რკინის გზას თითქმის მნიშვნელობა არა აქვს-რა, თუ მას მსაზრდოებელი შტოები არა აქვს, ე. ი. იმისთანა გზები, რომელნიც ერთვიან მას და საქონელი პატარა მოშორებით მდებარე ქვეყნებიდამ მიაქვთ და მოაქვთ. უმთავრესი გზა თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს უ-ამპატარა გზებოდ, ისე, როგორც დიდი მდინარე ვერას გახდება, თუ მას სხვა-და-სხვა პატარა მდინარეები არ უერთდებიან.

ეს უცილობელი ჭეშმარიტება იგრძნო ჩვენის რკინის გზის კამპანიამ და განიზრახა კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეების შეერთება რკინის გზის შტოებით იმ გზასთან, რომელიც შავს ზღვას კასპიისას უერთებს და ჩვენს ქვეყანას შუაზედა ჰკოფს. ამ აზრით უერთებენ ტყიბულს, ქუთაისს, ამ აზრით გაჰყავთ გზა ხონისაკენ, ამ აზრითვე უნდოდათ და კიდევაც უნდათ გზი გაკეთება კახეთისა და ცხინვალის ხეობისაკენ.

ამ ჟამად ჩვენა გვსურს მივაქციოთ მკითხველების ყურადღება მხოლოდ უკანასკნელს მხარეს, რომელშიაც რკინის გზის შტოს გაყვანა დიდს სარგებლობას მოუტანდა, როგორც თვით კამპანიას, ისე მთელს ამ ხეობას:

ცხინვალის ხეობა ერთი იმისთანა ხეობათაგანია, რომელიც სავსეა სხვა-და-სხვა გვარის ნაწარმოებით: ბარში უხვად მოდის ჰირნახული, ხილი, კაკალი, ყურძენი და მთიდამ ჩამოაქვთ მატყლი, ყველი, ერბო, ტყის მასალა და სხვ., ასე რომ რკინის გზის შტოს ამ მხარეზედ საზიდი საქონელი ყოველთვის უხვად ექნება. გარდა ამისა ეს გზა ისეთს ხეობაზედ გაივლის, რომელიც კეთილად-შეზავებული ჰაერით განთქმულია მთელს საქართველოში და ზაფხულის სიგრილე, უეჭველია, ბევრს გაიწვევს აქეთკენ სიცხით შეწუხებული თბილისიდამ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ადრე იქნება თუ გვიან, კავკასია რუსეთს უნდა შეუერთდეს კავკასიის მთების ქვეშ გაყვანილი რკინის გზით და ამ გზამ, საუკეთესო ინჟინერებისა და ჩვენის ქვეყნის მცოდნე პირთა აზრით, უეჭველად დიდი ლიახვის ხეობაზედ უნდა გაიაროს. თუ ეს ასეა, ცხინვალამდე გაყვანილი რკინის გზის შტო, პირველი ნაბიჯი იქნება ამ აზრის შესრულებისა და, უეჭველია, დაამტკიცებს იმათს შეხედულებას, რომელთაც ამ ხეობაზედ გზის გაყვანა სტრატეგიული განზრახვის გარდა, ეკონომიურადაც წინ-წამწევად მიაჩნიათ.

მერე რა უშლის, ანუ უშლიდა აქამდის ამ აზრის განხორციელებას. უშლიდა ის, რომ რკინის გზის კამპანიას ჩვენი ქვეყანა საფუძვლიანად არა აქვს გაცნობილი და ყოველი საჭირო მიმართულება ჯეროვანად გამოკვლეული. კამპანიას ეგონა, რომ ცხინვალისკენ მომავალი რკინის გზა უეჭველად ქ. გორიდამ უნდა იწყებოდესო და ამის გამო საჭირო იყო რკინის გზის გასაყვანად ხიდის გაკეთება მდ. ლიახვზე, ან მტკვარზე,—და ხიდი კი, თუ არ მეტი, თითქმის იმოდენა ფული ჯდებოდა, რაც თითონ გზა. ესეთი ხარჯი აშინებდა კამპანიას, მეტადრე იმიტომ რომ მას კარგად არა ჰქონდა გამოკვლეული ამ ხეობის წარმოება. კამპანიამ არ იცოდა, რომ არის ერთი მიმართულება, რომლითაც შეიძლება რკინის გზა ცხინვალს შეუერთდეს და რომელიც ფრიად სამხრო და მარჯვეა.

ეს მიმართულება არის შემდეგი:

ქარელის სტანციის ზევით სამს ვერსზე მტკვარზე გაკეთებულია რკინის გზის ხიდი, რომელზედაც გამოვლის შემდეგ მატარებელი მტკვრის მარცხნივ მიდის. სწორედ ამ ხიდთან შეიძლება გაკეთდეს სტანცია და აქვე შეუერთდეს უმთავრესს გზას ცხინვალისკენ მიმავალი შტო. ეს შტო გაკეთდება ერთი-ერთმანეთზე გაბმულ სოფლებზე და ცხინვალამდე სულ 15—18 ვერსის გავლა არ დასჭირდება. ამ გვარად თვით შტო შემოკლდება 9—12 ვერსით, რადგან გორიდამ ცხინვალამდე 27 ვერსია, ხიდიც საჭირო აღარ იქნება და გზაც ისეთს სწორე ადგილზედ გაივლის, რომ თითო ვერსის ხარჯი 15,000—20,000 მანათს ზევით არ ავა. შტო, როგორც წეღანაცა ვთქვით, გაივლის მჭიდროდ დაახლოებულ სოფლებზე და შეიქნება მსაზრდოებელ შტოდ, როგორც ოსებით დასახლებულ მთისათვის (დიდი და პატარა ლიახვის ხეობებისათვის), ისე მთელი ზემო—ქართლისათვის. თუ რკინის გზის კამპანია ამ აზრს ყურადღებას მიაქცევს და დანიშნავს შესაფერ პირებს ხსენებული მიმართულების გამოსაკვლევად, იმედი გვაქვს, ისიც დაინახავს ამ შე-

გურიის ცხოვრებიდამ

ხოჯა და მოლლა.—ანკეს-ბადე.—მსაჯულის როლის ასრულების წადილი და მასიკვლას განჩინება.—იუდა ისკარიოტელის ჰანგი.—უხამერიონელი დელიბაშის წყალობით ცოლშვილს მოშორებულნი მამები.—საარაკო შემთხვევა—ცხრა წლის ვაჟის დაკარგვა. ტყვედ გაჰყიდესო.—ლხინი ფარეშთა უბანში.—ტელეგრამა და მოჰაირეს დამღერება.

შაბათის დილა იყო, როცა სპარსელმა ხოჯამ თავის კაბინეთში შეიწვია დუაბზუიში (სოფელია გურიაში) დაჯილდოვებული მოლლა, გაუღიმა თავისებურ მცბიერის ღიმილით და დიდი საიდუმლოოს კილოთი გაანდო თავის გულის წადილი:

— ბესარიონ!... გვეყოფა ძილი... გვეყოფა ამდენი ხნით მოსვენების მიცემა ჩვენი მაზრის საკრეჭ ცხვრებისთვის; დროა კვლავ ალლო ავილოთ მათის მომაკვდავ ცოდვებისა, შიშის ზარი გავუვლოთ ძვალ-რბილში და მერე... მერე, ჩემო ბესარიონ, მღვრიე წყალში ისროლე ჩემი ინსტრუქციისამებრ შენი ანკესი და ბადე... ჰე, ჰე, ჰე! ჩემო ბესო, რად დაგიჭყეტია თვალები, დაგავიწყდა, რომ ჩვენს ანკესბადეს თევზების ნაცვლად წითელწითლიანები ედება?! აბრუნდი, ჰაიდა!

ციბრუტივით მოტრიალდა მოლლაბესარიონ, კანჯარის სისწრაფით «გამპა» კარში, ერთი ორჯერ კი მოიფხანა შუბლი, შემდეგ შეხედა ზეცას და შეევედრა თავის ალლაჰს—კოჭი ალჩუდ დამიჯდინეო ..

სპარსელი ხოჯა და მოლლა-ბესარიონი ნამდვილ ხოჯად და მოლლად არავის გვგონოსთ; ოფიციალურად, გარეგნობით ისინი იგეთივე მმართლმადიდებელნი ქრისტიანენი არიან, როგორც სხვები. ამ სახელწოდებით ხალხმა მონათლა ისინი, იმიტომ, რომ ხოჯასა და მოლლასავით ეს ვაჟბატონებიც თავიანთს პირდაპირ ვალდებულების გარდა თავიანთ თავს ბეჯით მცოდნედ სთვლიან ცხოვრების ყოველგვარ საგნების გადაწყვეტაში და ამის გამო, მეცამეტე გოჭსავით, ერევიან და აფუჭებენ იმისთანა საქმეებს, რომლებთანაც არავითარი ხელი არა აქვთ არც ღვთისა და არც კაცის კანონით... სუსტს მხარეს ნამდვილ ხოჯა-მოლლებისას შეადგენს მათი სურვილი ექიმებად ყოფნისა, და რა ნაირი უნდა იყოს ალყორანზე აღზრდილ ადამიანთა ექიმობა—ეს ცხადია ყველასთვის; ჩვენი სპარსელ ხოჯის, მოლლა-ბესარიონის და მათი ამქრის უსუსტესს მხარეს შეადგენს მსაჯულობის როლის ასრულების წადილი, სამ'აჯულოს კომპეტენციით შემოსვის სურვილი. ამათი მსაჯულობა და სამსაჯულო სფერაში მოქმედება ზედ-მიწევნით ჰგავს ზემოხსენებულთა ნამდვილ ხოჯა-მოლლების ექიმობას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უკანასკნელნი ცრუ ექიმობით პირდა-პირ საიქიოსკენ ისტუმრებენ თავიანთ პაციენტებს და პირველნი-კი თავიანთი ცრუ-მსაჯულობით პირდა-პირ საიქიოსკენ კაცის გასტუმრებას რომ ველარ ჰბედვენ, მიხვეულ-მოხვეულის გზით შემოურბენენ თავიანთ ხელ მოკლე მსხვერპლებს, ჯერ ნივთიერად, სხვა-და-სხვა გვარი ქრთამის გამორთმევით უწყალებენ ცხოვრების სახსარს და შემდეგ ერთ-გვარის ხრიკის გდებით და მათგანვე არჩეულ საეჭვო პირთაგან შეყენებულის ცრუ-«პრიდოჯორებით» (განჩინებით) ხან ბათუმში «ატუციებენ» თავს და ხან რომელიმე ტვერის გუბერნიაშიც...

მაგრამ დავუბრუნდეთ მთავარ საგანს ჩვენის ამბავისას. მოლლა-ბესარიონმა მიუხვდა თავის უფროსს ხოჯას გულის სანუკვარს და მით უფრო ადვილად მიუხვდა, რომ პირველად არ შეხვედრია მას ამისთანა საქმეში დაფაცურება. მიუხვდა და შეუდგა განზრახვის საქმედ გადაქცევას. ბაიარ-გამოიარა ბაზარში, უფრო-კი იმ დუქნების წინ, სადაც «ჯოჯოხეთის ცეცხლი» (იგულისხმე ვოდკა) იყიდება, მიიწვია მასიკვლა-ბოგიტელა და სხვა ამ გვარი ექვსიოდე

ხედულების სინამდვილეს და მისის შესრულებით სარგებლობას მოიპოვებს როგორც თვითონ, ისე მთელს იმ მშვენიერს და ნაყოფიერს მხარეს გზას გაუკვალავს საქვეყნო ბაზარ ადგილამდე.

შინაური ქრონიკა

ᲝᲝᲝ ᲥᲔᲛᲝ-ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ მიეიღეთ Ი. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ, რომელიც გასულის შაბათის №-ში გავაცანით ჩვენს მკითხველებს. ᲒᲐᲕᲐᲑᲠᲙᲚᲔᲑᲡ ის გარემოება, რომ მკითხველნი ეერაფერს გაიგებდენ, თორემ შეუცვლელად დაებეჭდით ამ მართლა რომ ყოვლის მხრივ სასაცილო წერილს. აი, წერილიც:

«ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔ ᲛᲔᲒᲐᲖᲔᲗᲔ! ᲗᲥᲕᲔᲜᲡ «ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ» იყო შაბათ დღეს დაბეჭდილი ჩემზედ, რომ მე ვითომ ვატყუებ კაცებს და გირაოს უკან არ ვაძლევ; ეუყიდი და ატკაზს ვეუბნები; ამაზედ ციხე გადამიწყვიტეს ოთხის თვით. ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲑᲠᲐᲜᲬᲘ ᲛᲝᲛᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ: მე რა დავა მაქვს, რომა ვინმე მოტყუვდეს, თვალები დაუბრმავდეს? რად მოატყუა თვალმა? ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲘᲧᲝᲡ, არ მოტყუვდეს. მე მარტო დამიბრიყვეს თუ არა რატომ სხვა არ მისცეს ციხეში, რომელნიც უფრო ᲧᲕᲚᲔᲤᲔᲜ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ?...

ი. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ შენს გულ-ღიაობას უსამართლოდ დატანჯულო საბრალო Ი. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ...

ᲝᲝᲝ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲕ საჩივარი გვესმის ცხენის-რკინის გზის კონდუქტორებზედ, რომელთა უზრდელობას და უსამართლობას უკანასკნელს სამზღვრამდის მიუღწევია. ᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ მეტს ხალხს სხამენ სანამ ადგილები არის და ამის გამო ტევა აღარ არის; წამ-და-უწუმ პატარა ბაშვებს ართმევენ ბილეთის ფასსა, როდესაც მათ ადგილი არ უჭერიათ და თავიანთ დედებს უსხედან კალთაში.

ᲝᲝᲝ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ კვირას საკმაო ხალხი შეგროვდა «ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲝᲑᲠᲐᲜᲘᲘᲡ» საზამთროს სადგურის გვერდით, ერთი კაცის უშვერის სიტყვებით ლანძღვამ და ღრიალმა. ᲘᲡ კაცი იყო ყმაწვილი, სუფთად ჩაცმული და, როგორც მერე შევიტყეთ, საოლქო სასამართლოს სააპელაციო განყოფილებაში თურმე ემსახურება. ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, რომ ყმაწვილ-კაცს ბახუსთან მუსაიფის შემდეგ გამოსეირნება მოეწადინა: როდესაც «ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲝᲑᲠᲐᲜᲘᲐᲡ» დაახლოვებოდა, იქ დადგმული რკინის სკამეიკა, დაღალულთ მოსასხვენებლად, ყმაწვილ-კაცს როგორღაც თვალში არ მოსვლოდა, დაევლო ხელი და ბულვარზედ გადაჰქონდა. ᲘᲥ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲔᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲡ სკამეიკას არ ანებებდენ, რადგანაც ეშინოდათ არ გატეხოს და პასუხისგებაში ჩვენ არ ჩავცვივდეთო.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲚᲐᲜᲫᲦᲔᲐ-ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ შემკობილი. ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ გამარჯვებული ყმაწვილი კაცი გამოვიდა, რადგანაც სკამეიკა დაინარჩუნა, ბულვარიდგან ქუჩაზედ გადასტყორცნა და გათამამებული, თავმოწონებული სატრიუმფალო ეტლის მაგიერად ფაიტონზედ შეხტა, შემოიყარა დოინჯი და გამარჯვებულის გმირულის სახით საზოგადოებას დაუწყო ყურება. ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, რომ ფაიტონი ბ-ნი ზარაფოვისაგან ყოფილიყო დაქირავებული და ყმაწვილი კაცი კი თხოულობდა, რომ მას წაჰყოლოდა. ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ აქაც დავიდარაბა. ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ განმავლობაში არც ერთი პოლიციელი არსადა სჩანდა და ხალხს სახარხაროდ საკმაო მასალა ეძლეოდა. ᲑᲝᲚᲝᲡ მოვიდა პოლიციელი, რომელმაც ძლიეს დააჯერა ცოფ-მორეული, რომ მეორე ფაიტონში გადასულიყო. ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲛᲐ კაცმა ხმა მაღლად გამოუცხადა პოლიციელს, რომ შენს სურვილს მაშინ აღვასრულებ, თუ საროსკიპო სახლში წამყვებიო.

ᲝᲝᲝ ᲡᲝᲤ. ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲫᲐᲛ გვწერენ, რომ იქაურს სტანციაში ივნისის 27-ს ერთი უსიამოვნო ამბავი მომხდარა: ამ დღეს Ა—ძეს გზაში ხმალი დაჰკარგოდა, მიემართნა სტანციის უფროსის ბ. ᲭᲣᲠᲐᲕᲙᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, რათა მას გაეგზავნა ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲜᲘᲡ სტანციაში ტელეგრამა და შეეტყო—იქ ხო არ დარჩენოდა ხმალი. სტანციის უფროსს, ამ კანონიერი თხოვნის აღსრულების მაგიერ, გინებით ებრძანებინა თ. Ა—ძისათვის, კანტორიდგან გასვლა. Ა—ძეც გამოსულიყო. ᲒᲐᲕᲘᲓᲐ რამდენიმე წამი, სტანციის უფროსი გამოვიდა სასეირნოდ პლატფორნაზედ,—სადაც შეხვდა მას თ. Ა—ძე, რომელმაც მაშინვე სილა შემოჰკრა. ᲭᲣᲠᲐᲕᲙᲘᲜᲘ გადავარდა თუ არა პლატფორმიდამ, მაშინათვე წამოდგა და Ა—ძისკენ საცემრად მიიწია.

ᲑᲐᲢᲝᲜᲡ ᲭᲣᲠᲐᲕᲙᲘᲜᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲠᲛᲔᲑᲘᲪ მიეშველნენ და Ა—ძეს ისე სცემეს, რომ ნაცნობებმა ფაიტონით ძლიეს წაიღეს; ᲭᲣᲠᲐᲕᲙᲘᲜᲛᲐ წიხლით ისე ჩაამტვრია Ა—ძე, რომ ძნელად თუ მორჩესო.

ᲝᲝᲝ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲥᲝᲛᲐᲠᲝᲕᲘ და ᲐᲮᲐᲚᲗᲔᲥᲔᲨᲘ რკინის გზის გამყვანი გენ. ᲐᲜᲔᲜᲙᲝᲕᲘ ამ დღეებში ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ჩამოვლენო.

ᲝᲝᲝ ᲡᲝᲤ. ᲕᲔᲚᲘᲡ-ᲪᲘᲮᲔᲓᲐᲛ გვწერენ: «ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲝᲠ-ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲐᲥ ᲐᲠᲘᲠᲝᲑᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲗᲐᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲤᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲭᲘᲠᲐᲮᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲗ.

«ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 18-Ს ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲗᲘ ᲐᲛᲢᲧᲓᲐᲠᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲡ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲡᲐ ᲡᲔᲢᲧᲕᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ. რაც სეტყვამ დააკლო ის ქარიშხალმა გადუმეტა. ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲜᲘ ᲕᲐᲖᲘ ᲥᲐᲠᲛᲐ ᲡᲣᲚ ᲞᲘᲠᲥᲕᲔ ᲓᲐᲧᲐᲠᲐ. ᲗᲣ ᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ ᲬᲔᲚᲡ ᲕᲔᲚᲘᲡ-ᲪᲘᲮᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐ ᲣᲨᲐᲕᲡᲠᲐ.»

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲝᲝᲝ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲔᲕᲘ - ᲛᲔᲡᲮᲘᲔᲕᲘ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔᲓ ᲓᲐᲣᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲐ მთავრობას. ეს ამბავი მით უფრო საყურადღებოა, რომ ალექსიევ-მესხიევი ერთი საუკეთესო უფროსთაგანია და, რაც კი შეუძლიან, ცდილობს თავის მაზრის კეთილ-დღეობისათვის.

ᲝᲝᲝ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ“ გვაცნობებს, რომ ბაქოს გუბერნიაში ესაღებს ფიცსელი შეტანებ ᲥᲝᲜᲘᲗ ᲗᲮᲝᲚᲘᲪᲘᲡᲗᲘᲡ და შემდეგ ᲗᲘᲠᲒᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲧᲝᲗᲨᲘ გადასულან. ივნისის 25-ს ოთხი ესაღი დასცემია კაზარმს, რომელიც სადირჯუს და ესრის სტანციებს შუაში იმყოფება და წაუღიათ 66 მან. და ორი ქალიც გააუპატიურეს.

ᲝᲝᲝ ᲑᲐᲥᲝᲡ �გᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐ ᲔᲡᲔᲚᲐ ᲔᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲜᲐᲒᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲐ. ᲓᲦᲔᲐᲠ ᲒᲐᲒᲕ, რომ აქ ან მგზავრი არ გაიქურდოს და ან რომელიმე სოფელი არ აიკლონ. აი რასა სწერენ „Новое Обозреніе-ს“ ადსტაფიდამ: „ᲓᲦᲔᲡ ᲐᲥ ᲡᲛᲐ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ, რომ ᲔᲡᲩᲘᲦᲘᲡ ᲥᲐᲘᲠᲘᲛᲘᲡ თავის ამსანაგებით კიდეკ გამოჩენილა დიდიყანის ანდოს და ორი ჩაფარი მოუკლავსო. დღეს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ᲥᲐᲘᲠᲘᲛᲘᲡ მართლა გამოჩენილა დიდიყანში თავის რვა ამსანაგით; ორს ჩაფარს ოსს დაეწყოთ მათთვის სროლა და ᲥᲐᲘᲠᲘᲛᲘᲡ ერთი ამსანაგი მოეკლათ. ᲥᲐᲘᲠᲘᲛᲘᲡ გამოსდგომოდა ჩაფრებს დარაჩიჩადამდის, მაგრამ ჩაფრები დამალულიყვნენ. ᲔᲡᲩᲘᲦᲔᲑᲡ ჩაფრებისათვის ორი ცხენი მოეკლათ, ერთი ჩაფარი და ერთი მალაკანი დაეჭრათ და გაქცეულიყვნენ. ადგილობრივი თათრები დიდის გრძნობით ლაპარაკობენ ᲥᲐᲘᲠᲘᲛᲘᲡᲖᲔᲓ და მისგან ჩადენილს საქმეებს უფრო ამზიადებენ. იმასაც-კი ამბობენ, რომ ᲥᲐᲘᲠᲘᲛᲘᲡ ტყვია არ უდგებაო.

ᲝᲝᲝ ᲓᲔᲡᲙᲝᲠᲜᲨᲘ მისულა რუსის გამოჩენილი მდიდარი ბ-ნი ნეჩაევ-მალცევი.

ჯიბე-გაფხეკილი ეაჭრები და ჭრქვა მათ:

— ᲮᲝᲯᲐᲛ გიბრძანათ ეხლად-ეხლავ დაიფიცეთ, დაასახელეთ ვინც Ო—გეთის ქალაქში ქურდებია და გადასახლების «ᲞᲠᲘᲦᲚᲝᲕᲝᲠᲘ» (განჩინება) შეუყენეთო!

ᲛᲝᲚᲚᲐᲡ განსაცვიფრებელად მასიკელა და ᲑᲝᲒᲘᲢᲔᲚᲐ ამხანაგებითურთ ისეთნი 'ᲧᲣᲠ-ᲛᲝᲭᲠᲘᲚᲜᲘ მონები არ გამოგნენ, როგორნიც მას ეგონა, და თუმცა კრძალულებით-კი, მაგრამ მაინც მიუგეს:

— ᲩᲕᲔᲜᲘ საქმე არ არის, თქვენი ᲭᲘᲠᲘᲛᲔ, ᲛᲝᲚᲚᲐᲕ, ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲐᲓ ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ გამოყვანა და გადასახლება. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲜᲘ არ გახლავართ. ᲦᲕᲗᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ დავიდარაბაში ნუ გაგვრევთ...

— ᲗᲣ ამისთანა პასუხს მივიღებდი თქვენგან, იმ შემთხვევაში, ნაბრძანები მაქვს ᲮᲝᲯᲐᲡᲐᲒᲐᲜ, რომ მასთან უნდა მიგიწვიოთ მოსალაპარაკებლად. ᲒᲗᲮᲝᲕᲔᲗ, ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲗ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ.

ᲠᲐᲡ იქმოდენ მასიკელა და ᲑᲝᲒᲘᲢᲔᲚᲐ ამხანაგებითურთ? ᲐᲓᲒᲜᲔᲜ და მივიდენ ᲮᲝᲯᲐᲡᲗᲐᲜ, რომელმაც თავის მოლლასებრ წინადადებაზე მოისმინა თუ არა ზემოდ მოხსენებული პასუხი, ამოიწვადა ხალათის უბიდამ რალაც ეტრატი, არაბულად დაწერილი, წაიკითხა და მოლლას თარჯიმნობით უთხრა მოსიკელას ამხანაგებითურთ:

— ᲗᲣ თქვენ ჩემი სურვილი არ შეასრულეთ... *) მაგრამ რადგანც თქვენ ისეთი კაცები ყოფილხართ, რომ ქურდების დაფარვა გსურვებიათ, თქვენს მეტს არავის აეკრეევინებ ბარგს,—იცოდეთ!

სურების ტყეში აღზრდილნი და ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲖᲔ ᲙᲣᲠᲡ დასრულებულნი ყაზახები წახდენ, აღახვნენ ბაგენი თვისნი და დაასახელეს ერთი კაცი ქურდად. მაგრამ საშინელება იყო მათგან «ᲥᲣᲠᲓᲘᲡ» დასახელება ᲮᲝᲯᲐᲡᲗᲕᲘᲡ: არ ვიცი შიშმა და არ ვიცი შიშის პირბადით მოფარებულმა ოხუნჯობამ მათ დაასახელებინა თვით ᲮᲝᲯᲐᲡ საიდუმლო «ᲩᲐᲩᲣᲢᲘ» (ᲯᲐᲨᲣᲨᲘ), ვილაც ᲑᲔ—ᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ!

ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲝᲯᲐᲛ კვლავ გახსნა მოხსენებული ეტრატი, მოიყარა მუხლეში, შეუდგა ლოცვას «ᲑᲘᲡᲛᲘᲚᲚᲐᲰ ᲘᲚᲚᲐᲰᲘᲡᲐᲡ», შემდეგ გადახედა მოლლას და უბრძანა ცხენოსან მხედრების მოყვანა.

— ᲐᲚᲚᲐᲰ ᲑᲘᲰᲚᲣᲠ, რომ მე არ მინდოდა თქვენთვის არაფრის წყენინება, მაგრამ რადგანაც ქურდების ხელის დამფარველნი ყოფილხართ და სდევნით ისეთს საწყალ და მართალ კაცებს, როგორიც ᲑᲔ—ᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ, ამიტომაც ეხლავე ეტაპით წაგასხმენ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ცხენოსანნი მხედრები.

ᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ მოყვანა აღარ დარჩა საჭირო. სულ მთლად დამფრთხალ მასიკელამ ამხანაგებითურთ დაასახელეს ექვსი კაცი «ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲔ ᲞᲘᲠᲔᲑᲐᲓ» და ხელი მოაწერეს ᲮᲝᲯᲐᲡ კარნახით მოლლასაგან დაჭყაპნულს განჩინებაზე, რომელშიაც იმ ექვსი კაცის სამშობლოდან გადასახლებას «ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲓᲔᲜ»... ᲗᲣ რა გულ-წრფელად და სინიდისით იყო შედგენილი ეს შავბედითი განჩინება დაინახეთ იქიდან, რომ მისს შემადგენელთ თითქმის იმავე წამს დაუწყიათ გოდება ᲘᲣᲓᲐ ᲘᲡᲙᲐᲠᲘᲝᲢᲔᲚᲘᲡ ᲰᲐᲜᲒᲖᲔ: «ᲓᲐᲕᲯᲓᲣᲗᲔᲗ ᲡᲣᲯᲜᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲜᲘ, ᲡᲘᲡᲮᲚᲜᲘ ᲒᲐᲕᲔᲪᲘᲗ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲗ»!..

ᲒᲐᲠᲔᲛᲔ მკითხველი, რომელმაც არა უწყის ჩვენი ყოფა-გარემოების ვითარება, უეჭველია განკვირვებით იტყვის: «განა ღირს ვილაც ᲮᲝᲯᲐᲡ სისულელეზე ლაპარაკი, როცა დარწმუნებულნი უნდა ვიყენეთ, რომ კანონიერებას მოკლებული სისულელე უშედეგოდ დარჩება, ან და თუ რაიმე შედეგი მოიტანა—ის იქნება თვით ᲮᲝᲯᲐᲡ შერცხვენაო.»—მაგრამ იგივე მკითხველი ჩვენსავით რომ იცნობდეს აქაურ ყოფა-გარემოებას, მაშინ ჩვენებურ ᲰᲐᲜᲒᲖᲔ ივალალებს. ᲡᲐᲥᲛᲔ ის არის, რომ ᲮᲝᲯᲐᲡ მწე—მფარველობს ᲣᲮᲐᲛᲔᲠᲘᲝᲜᲔᲚᲘ ᲓᲔᲚᲘᲑᲐᲨᲘ და მისი დახმარებით ხშირად აიძულებს ხოლმე ზემოხსენებულ უკანონო განჩინე-

*) უცხონდეს ისე ბაბუა ᲮᲝᲯᲐᲡ!

მალტეკი იმისთვის მოსულა, რომ შეეტყო რამდენად მოსახერხებელია ლენქორანში შაქრის ქარხნის აშენება. მალტეკს ძალიან მოსწონებია შაქრის ქარხნისათვის ამორჩეული ადგილები.

⊖⊖⊖ გაზეთს «კასპიას» სწერენ ქუთაისიდამ, რომ ტყიბულის რკინის-გზის შტა მალე გათავდებაო. სხვათა შორის ტყიბულის ქვა-ნახშირის შესახებ იმასაც ამბობენ, რო ადგილობრივ ფუთი ნახშირი რომ ერთ კაპეიკად გაიყიდოს, მაშინაც 100 მილიონი მანეთისა გაიყიდებაო.

⊖⊖⊖ იმავე გაზეთს აცნობებენ ქუთაისიდამ, რომ მარგანეცის თავი და თავი საწყობი ჭიათურშიაო და ადგილობრივ კუბიკური საჟენი 60—80 მან. იყიდებაო. ევროპის სტანციაზედ მარგანეცი ფუთი 30—35 კაპ. იყიდება, უფრო ფრანცუზები ყიდულობენ და საზღვარს გარედ გაქვთ. ესლა, როგორც გამოიანგარიშეს, წელიწადში ილიონ ფუთს მარგანეცს იღებენო.

„დროების“ კორესპონდენცია

სილნაღი, ივნისის 25-ს. ვერაფერი ზაფხული დაუდგა წელს სილნაღლებს. ბაჭარი ხალხი უმუშტრობით ძილისა და ბუზების ყლაპვის მეტს არას აკეთებენ. მამულის მეპატრონენი-კი მოუსავლობის გამო, რაც შეუძლიანთ ქუჩებს სტკეპნიან, თითქო მით ბოღმას იქარწყლებენ.

თუმცა ასეთი უფერულობა სუფევს ჩვენს ქალაქში, თუმცა ყოველ კუთხეებიდამაც და აქაც კოტრობის და უფულობის ჩივილის მეტი არა ისმისრა, მაინც სილნაღი თითქო «შახს არ იტეხს» და, რაც შეუძლიან, დროს გასატარებელ ალაგებს აბარტყებენ. დღემდის თუ ერთი სასტუმრო იყო, დღეს ოთხად გარდაიქცა; აქამდის სასეირნო ბაღი არა ჰქონდა სილნაღს, დღეს-კი მორთულ-მოკაზმული ბაღიც გაჩნდა; ეს ბაღი მონათლეს კიდეც—სახელად «Арарат» უწოდეს. ერთის სიტყვით სილნაღი ნამდვილად ქალაქობს. მართალია ვერაფერი დარი დაუდგა პირველად ახლად შეძენილს სასტუმროებს, მაგრამ სამაგიეროდ წარსულ კვირას მათ პატრონებს ფულის სეტყვა მოეღლინათ:

ივნისის 17-დამ დაწყებული 25-მდე მთელი მაზრის თავად-აზნაურობა აქ იყო თავ-მოყრილი. ერთი კვირის განმავლობაში ირჩეოდა აქ ოლქის სამსჯავროს განყოფილებაში თავად-აზნაურების საერთო მამულების საქმეები.

ამათ სათითაოდ უნდა დაემტკიცებინათ თავ-თავიანთი წილი გაუყოფელ მამულებში. ამ გვარ საქმეს, რასაკვირველია, ერთგულად უნდა მოეკიდოს კაცი; მით უფრო, რომ სამუდამოდ ქიშპობის და ურთიერთშორის უთანხმოების მოსპობა შეუძლიან მხოლოდ მამულის განაწილებას. მაგრამ, რა ბრძანებაა, ჩვენის თავად - აზნაურობისთვის, რომელი საქმე სჯობია მშვენიერს ქართულს სუფრას, თარ-ჭიანურ, დუდუკს და ძველ ქართულ სიმღერებს.

მთელი კვირა სასტუმროებში არ გამოლეულა ქართული ნადიმი. შებინდებისას, რაკი ბახუსი დაიჭარბებოდა, ზურნა და «Арарат»ში ჩაის დალევა აუცილებელი იყო.

ასეთი დროს-ტარება საქმის შესაფერად ვერ დააბოლოვებდა, რასაკვირველია. ბარკვეეთ არ გათავებულა გაუყოფელი მამულების გამიჯნვა.

დაბრუნდა თავად-აზნაურობა სოფლებში და სილნაღის ცხოვრებას ისევ ძველი ფერი დაედო. ქუჩებში ისევ «კოსე-მოსეებს» შეხვდებით.

ი. კახელი.

ბისა მსგავსი ქაღალდით დაშინებულ სოფლელებს მაზრიდან გასვლას საცხოვრებლად, რის გამოც ეს უბედურნი მსხვერპლნი ხოჯას ბოროტ-მოქმედებისა და საკუთარი ხელ-მოკლეობის თავიანთ ახალ საცხოვრებელში ულუკმა-პურად რჩებიან და ზშირად ძალა-უნებურად მართლაც ცუდ-კაცობას ჰკიდებენ ხელს... Ara ერთი და ორი სოფლელი, არა ერთი და ორი ოჯახის მამა მოქცეულან ამისთანა განჩინებებში, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ესიამოვნებინათ ხოჯას რომელიმე ყურ-მოჭრილ ყმისათვის, უნებლიედ გასულან მაზრიდან სხვაგან საცხოვრებელად, სადაც სიმშილის წყალობით ცუდ-კაცობის გზაზე დამდგარნი გამგზავრებულან იქ, სადაც მაკარს ცხვრები არ გაურეკია...

***

იქ, სადაც ბურიის ტურფა მთამინდვრებზე მწვანე ნაპირებთ შორის ვეფხვივით მოხლტის ქვებიდან-ქვებზე ანკარა ბეჟეკი (ბახუშტის «ხინოს წყალი») და მას სამხრეთის გორიდან ზვავობით დასცქერს მედიდური მონასტერი შემოქმედისა, ე. ი. მონასტრისავე სახელით წოდებულს სოფელს შემოქმედში მოხდა იმ გვარი შემთხვევა, რომელსაც საშუალო საუკუნეთა ისტორიაში უნდა ჰქონოდა ადგილი და არა მეცხრამეტე საუკუნის დამლეველ გაზეთის სვეტებზე. ერთს მშვენიერს ივანობისთვის დილას ცხრა წლის «გაუპუტკნული», მაგრამ «ვაშლოყებიანი», შავ-თვალ-წარბა და თეთრ-წითური გლეხის ვაჟი ტყეში შეეიდა ფიჩხის «მოსახეკად», (შესაგროვებლად) მოხიკა (შეაგროვა) კიდეც, ერთს ადგილს დააგროვა და მერმე... მერმე კაცმა არ იცის სად წავიდა სადაური, სად აღეფხვრა სადით ძირი. იციან მხოლოდ, რომ ცას არ აუტაცნია, ქვესკნელს არ ჩაუყლაპავს, წყალს არ წაუღია და ნადირს არ შეუჭამია. ის ერთი ხმა, რომელსაც ერისას უწოდებენ და ღვთისას უდრიან—ასე მოგახსენებთ, რომ იგი ტყვედ გაჰყიდესო!.. ტყვედ თუ გაჰყიდეს, მაშინ არ იქნება გასაკვირველი თუ რატომ ვერ მიაკვლიეს ამ საარაკო შემთხვევის მსხვერპლის კვალს ადგილობრივმა გამგეობამ: ამ გვარ შემთხვევაში თავდაპირველ გამოსაძიებლად ლეკოკია საჭირო და არა ყაბაში ტყაპასანის წყალობით წინ წაწეული...

***

რაკი ამ რიგად «წაწეულ» პირებზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ ჟამად მათს უბანში ლხინი არის. საითკენაც უნდა გაიხედო—დაინახავ, რომ ფარეშს ეალერსებიან, წინ სწევენ, აჯილდოვებენ და ანებივრებენ. მაგალითად ერთს აქაურს ფარეშთ—უხუცესს, (რომელიც ხალხმა უფრო სხვა სახელით მონათლა და ზემოდაც მოვიხსენიეთ) ამ რამდენიმე კვირის წინად მადლობა მოუვიდა... ამ მადლობამ, რასაკვირველია, გამოიწვია ნადიმი, რომელსაც დაესწრენ ყველა აქაური ფარეშები. ბოგვაძის ღვინოს ჩაფობით სცლიდენ და ლომჯარიას ბეჭს ათობით ასაღებდენ თურმე. ნადიმის ბოლოს უხუცესმა შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა მისთვის მადლობის გამომცხადებელს:

«ბრძნობის სიუხვეს ენას მიბამს, იმდენად მიამა თქვენი მადლობა ჩემგან სახალხოდ ზრუნვის გამო. რასაკვირველია, ეს თქვენი მადლობა ჩემგან არ არის დამსახურებული, რადგან, ღვთის წინაშე, რომ სულს ქვეშე უნდა ვსთქვა:— .. მაგრამ მაგაში ვხედავ ნიშანს ჩემდამი განუსაზღვრელის თქვენი მოწყალებისას: თქვენა გსურთ ჩემი წინწაწევა, რადაც უნდა დაგიჯდეთ, გსურთ გამხადოთ თითით საჩვენებელი კაცი... უმდაბლესად გმადლობთ, თაყვანს ვცემ თქვენთა ფეხთა ნატერფალთა».

ამბობენ, ეს ტელეგრამა ერთს მოშაირე გურულს ჩაუვარდა ხელში და მაშინვე ეს დაამღერა ჩონგურსო:

«ბზუერგეთი დაეცა,
აქ არ არის ხეირი,. .
მოდით ნახეთ სეირი»!

ჭ.

სხვა და სხვა ამბავი.

მომღერალი თევზები. სავერანგეთის მეგემეები ფორმოზის კუნძულის ახლოს დგომის დროს საშინლად გაჭკვირდენ, როდესაც გაიგონეს და დაინახეს ტამსუს კუნძულზედ მგალობელი თევზები; მაგრამ ამ ამბავში გასაკვირველი არაფერია, რადგანაც მეცნიერებამ დიდი ხანია იცის ამისთანა თევზები. თუ რომ წმინდა მდინარეების თევზები მუნჯები არიან, ესეგი არ ითქმის ზღვის ეველა ნაირს თევზებზე, რომელთაგან ზოგიერთნი ხმას იღებენ თავიანთის ბუშტების შემწეობით, ასე რომ მათზედ შეიძლება ითქვას, რომ ხმა აქვთ და მღერიანო. მომღერალი თევზები «ბოგვებიან» არამც თუ კუნძულ ფორმოზის ახლოს, არამედ მარსელის ახლოც და სმელთა-შუა ზღვაშიაც.

ახირებული მოდა. ამერიკაში ახირებული მოდა შემოიღეს და განსაკუთრებით უფრო მაღალი წოდების ხირნი ხმარობენ. როდესაც ამერიკის ქალები ვიზიტით მიდიან, თან თავიანთი ძაღლები მიჰყავთ და ვიზიტის დროს მასპინძელი და სტუმარი მხოლოდ თავ-თავიანთ ძაღლებზე ლაპარაკობენ. ვიზიტის გათავების დროს მასპინძელმა და სტუმარმა ერთმანეთს ორ-ორი სავიზიტო კარტოჩკა უნდა მისცენ, ერთზედ ხომ პატრონის სახელი წერია და მეორეზედაც ძაღლის სახელი უნდა ეწეროს..

ამერიკული რეკლამა. ჩიკაგოს დაკიდულს ხიდზედ შემდეგი განცხადება გამოეიდული:

„გამვლელო! იცოდე, რომ თუ ეს სიდი ჩაინგრა უსათუოდ წყალში დაიღრჩობი. უბედურო, ამ სიარად უნდა მოგვდე და შემთხვევა კი არ გქონია დაგეფასებინა ღირსება ბლეესონის ვაქსისა“!

შემდეგ ვაქსის ქარხნის ადრესი სწერია.

შაქარი, როგორც საქონლის საჭმელი. რადგანაც შაქარი ძალიან იაფია ინგლისში, ამისათვის აქაურებმა გადაწყვიტეს შეიძლება შაქარი ... [illegible] მოთ თუ არაო. ბირველად 1874 წელს გამოსცადეს, როდესაც შაქრზედ ბაჟი სრულიად მოისპო. იმ ადგილებში, სადაც შაქრის ლერწამს (ულანდს) სოფლიანს საქონელი ძალიან ეტანება, შაქრეულის ნაშთს; ბრაზილიაში შინაურს ფრინველს შაქარს აჭმევენ. ლონდონის ახლოს მდებარე ერთი ფერმის ძროხები ძალიან გულიანად სჭამენ შაქარ მოყრილ სიჭმელს. მეორე ფერმაში შეიშნეს, რომ შაქარი რძეს ღირსებას უმატებს და ძროხას უფრო ბევრსაც აწველინებს. რადგან მდაბალი ღირსების შაქარი ინდოეთში იაფია და ბური კი ძვირი—ცხენებს თითო გირვანქა შაქარს აძლევენ: ჯერ წყალში გახსნიან და მერე იმით სჭმელს უსვამენ.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის საგუნტოსი“

ივლისის 2-ს.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრი ორის თვით სამზღვარს გარეთ გაუმგზავრა. «Новое Время»-ს გაუგონია, რომ სამზღვარ გარეთიდამ დაბრუნების შემდეგ მინისტრს განზრახვა აქვს დაათვალიეროს შავისა და აზოვის ზღვის ნავთ-სუფრები, რათა გამოიკვლიოს მიზეზნი სამხრეთ ნავთსუფრების ვაჭრობის დაცემისა და მოიფიქროს საშუალება მათ გასაუმჯობესებლად.

გუშინ იდღესასწაულეს ოც-და ხუთი წლის იუბილეი მიტროპოლიტის ისიდორესი. სინოდის ობერ-პროკურორმა, წევრებმა, სხვა-და-სხვა დეპუტაციებმა და ოფიციალურმა პირებმა მიუღოცეს იუბილიარს. ქალაქის რჩევამ ბურ-ძარიღი მიართვა მიტროპოლიტს ვერცხლის ლანგრით. ჩასდგეს საპირ-

ძველი ეპარქიალურის სასულიერო სასწავლებლისა.

პარიჟი. გენერალ კურსის ბძანებას მიუყვიდა დასაჯოს ანამიტელი მანდარინები, რომელნიც ღალატით თავს დაესხნენ ფრანცუზებს, მაგრამ ისე კი, რომ ამით საფრანგეთის მფარველობის წესი ანამზედ არ დაირღვეს.

ლონდონი. გენერალი უელსლეი თავის შტაბით ლონდონში დაბრუნდა და ხალხი ალტაცებით მიეგება.

ათინა. რადგან ოსმალეთის მთავრობამ არ დაამტკიცა საბერძნეთის ზოგიერთი ელჩები,—საბერძნეთმა ოსმალეთში მყოფი ყველა ელჩები უკან გამოიხმო.

ბირჟა

პეტერბურგა ივლისის 1.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე — —	$24\frac{3}{32}$ $24\frac{9}{32}$ $24\frac{1}{9}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე — —	205 206 $205\frac{1}{4}$
100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — —	$253\frac{3}{4}$ $254\frac{1}{2}$ 254
პოლუიმპერიალები —	8 მ. 19 კ. გაყ.
ტრამოყნის კუპონები —	8 მ. 19 კ. გაყ.
ვეცხლის მანათი —	1 მ. 30 კ. გაყ.
ბირჟის დისკონტი — —	$5\frac{3}{4}$ და $6\frac{3}{4}$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — —	98 მ. 87 კ. გაყ.
მეორე გამოცემისა —	97 მ. 37 კ. გაყ.
მესამე გამოცემისა —	$97\frac{1}{2}$ მ. გაყ.
მეოთხე გამოც. — —	$97\frac{1}{4}$ მ. გაყ.
მეხუთე გამოც. — —	$97\frac{1}{4}$ მ. გაყ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — —	$95\frac{1}{4}$ მ. გაყ.
მეორე გამოც. — —	94 მ. 87 კ. გაყ.
მესამე გამოც. — —	94 მ. 12 კ. გაყ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა —	$225\frac{1}{4}$ მ. გაყ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა —	$214\frac{3}{4}$ მ. გაყ.
ოქროს რენტა — —	$170\frac{1}{4}$ მ. გაყ.
თბილისის სათადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები — — —	27 წ. 89 მ. გამყ.
	43 წ. $88\frac{3}{4}$ მ. გამყ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 91 მ. გამყ.
	43 წ. 90 მ. გამყ.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა —	—1 გირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა —	—1 გ.	$2\frac{1}{2}$
მეორისა — —	—1 გ.	2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის	—1 გ.	$4\frac{1}{2}$
მეორისა — —	—1 გ.	3 კ.
მესამისა — —	—1 გ.	$2\frac{1}{2}$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის ლავაში	1 გ.	$4\frac{1}{2}$
მეორის ხარის. ლავაში	1 გ.	$3\frac{1}{2}$
მესამისა — —	—1 გ.	3 კ.

მროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა	—1 გ.	7 კ.
მეორისა — —	—1 გ.	6 კ.
სუკი — —	—1 გ.	14 კ.
ცხვრის ხორცი —	—1 გ.	8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა — 1	გ.
მეორისა — —1 —	გ.

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის
თბილისიდამ ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.
ბათუმიდამ თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.
ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.
თბილისიდამ სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.
სურამიდამ თბილისში შემოდის
8 საათზედ 24 წამ. დილით.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობელად, რომ 1885 წლის ენკენისთვისათვის სასწავლებელში იქნება მხოლოდ ოც-და-თხუთმეტის ყმაწვილისათვის თავისუფალი ადგილი პირველს განყოფილებაში, რომელში შემომსვლელებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მაგრამ წლოვანობა მათი კი არ უნდა აღემატებოდეს შვიდს წლიწადს. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზედ, 20 აგვისტოდგან 29-მდის და თხოვნასთან ერთად წარმოადგინონ წლოვანების მოწმობა და აზნაურობისა, ან აზნაურობის მოწმობის მაგიერ ბანკის მოწმობა, რომ ყმაწვილის მშობლები (ან დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთ რიცხვში ითვლებიან. სხვა განყოფილებებში და პირველს და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი ადგილი არ არის თავისუფალი. სწავლა დაიწყება ყველა კლასებში პირველს ენკენისთვეს. (6—1)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს

ვინაიდგან 1885 წ. ენკენისთვიდგან ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ყველა პარალელური განყოფილებანი იქმნებიან სამეგრელოში, ძველს სენაკში, ამიტომ მოსწავლენი მესამე და მეოთხე განყოფილებათა, რომელნიც სამეგრელოდგან არიან, პირველს ენკენისთვეს უნდა გამოცხადდენ სასწავლებელში ძველს სენაკში, რადგან ისინი ძველის სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არიან გადაყვანილნი. ვისაც ხელ-ახალი ეგზამენი ექმნება, ის უნდა გამოცხადდეს უფრო ადრე 25 აგვისტოდგან პირველს ენკენისთვემდის.

აი სია იმ მოსწავლეთა, რომელნიც გადმოყვანილნი არიან ძველს სენაკში:
1) ბაბუნია ირაკლი
2) ბაბუნია სევერიანე
3) დგებუაძე კალლისტრატე
4) იოსელიანი იასონი
5) იოსელიანი მელიტონი
6) კიზირია არსენი
7) კორძაია ვლადიმერი
8) ლოლუა სპირიდონი
9) ლოლუა ესტატე
10) ლოლუა ივანე
11) მელია დავითი
12 ნანეიშვილი ბიქტორი
13) რევია დავითი
14) ჩიქვანი ერმალოზი
15) ჩიქვანი გიორგი
16) ალშიბაია გიორგი
17) ბაბუნია სილოვანი
18) ბაბუნია ნესტორი
19) ბაბუნია დიომიდე
20) კორძაია იასონი
21) ნაჭყებია ვლადიმერი
22) ჩიქვანი ნესტორი
23) ქავთარიძე ისააკი.

(3—1)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში იყიდება ყოველ-გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.

(8—5)

Пріятнаго вкуса, полезенъ дѣтямъ и взрослымъ, ОСОБЕННО МАЛОКРОВНЫМЪ, какъ увеличивающій питаніе.
Продается во всѣхъ кондитерскихъ, гастрономическихъ, аптекарскихъ магаз. и аптекахъ.
Цѣна кор. въ 20 плит. 1 р. 20 k. ½ кор. 70 k.
Перес. кор. 40 k., 2 кор. 60 k. и т. д.

(Ц. 15375.). (50—8)

ევროპის ბაღში



კვირას, ივლისის 7-ს.
იქნება განსაკუთრებული
წარმოდგენა
ფიზიკოსის ვ. დერინგისა
წმინდა ნინოს ზავედენიის სასარგებლოდ.

პროგრამა შედგენილი იქნება საუკეთესო სურათებისაგან.

ანტრაქტებში იქნება შუშხუნები და აუშვებენ შარს, ბენგალის ცეცხლით განათებულს.

კონცერტი დაიწყება ღამის 7 საათ.
წარმოდგენა 9 საათზე.

ადგილების ფასი: სკამები 1-ლი რიგისა 2 მან , II III IV რიგისა 1 მან. 50 კაპ., დანარჩენისა 1 მან. ბაღში შესვლა 50 კაპ.

კახელ მემამულეთა
თ. ა. ი. ჯანდიერის და ამხ.
ღვინის სარდაფში

იყიდება კარგად შენახული ნამდვილი ღვინოები კახეთის საუკეთესო ზვრებისა; ამასთან **თეთრი** და **წითელი** ღვინო **სოფ. ვაჩნაძიანისა**—თ. თ. ჯანდიერებისა.

სოფლად გამსვლელთ შეუძლიანთ მოითხოვონ ერთბაშად.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, № 2.

(10—4)

ქავა მოკკო
ს. სიუ და კო.
(Ц. 2592).
(46—20)

საგლობუსო კალმები
ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. მრთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისეულს ქარვასლაში. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჭდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შოტკები, პირსახოცები, ჰოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (pen of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპეიკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85.

(100—22)

Доз. ценз. Тифл. исъ, 2 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.